

ქალაქ ქუთაისში, შევჩენკოს ქუჩა N54 საცხოვრებელ სახლზე,  
მოქალაქე სერგო ჭეიშვილისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამი განხილული იქნა შევჩენკოს ქუჩა N54 საცხოვრებელ სახლში მცხოვრები მოქალაქე სერგო ჭეიშვილის წარმომადგენლის გიორგი კვანჭიანის განცხადება /2013 წლის 29.04 Nჭ-5229/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, შევჩენკოს ქუჩა N54 საცხოვრებელი სახლი/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე სერგო ჭეიშვილის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, შევჩენკოს ქუჩა N54 საცხოვრებელ სახლზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე სერგო ჭეიშვილს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, შევჩენკოს ქუჩა N54 საცხოვრებელ სახლზე /საერთო ფართობი 73,57 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 43,10 კვ.მ, დამხმარე ფართობი 30,47 კვ.მ, რომელიც განთავსებულია 765,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე/ მოქალაქე სერგო ჭეიშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიაშვილმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,  
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ნ.კაჭკაჭიშვილი